პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 95 (9563) | ოთხშაბათი, 22 აპრილი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კიდევ უფრო მჭიდროდ დავრაზმოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, დავრაზმოთ ჩვენი ძალები და შემოქმედებითი ენერგია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის!

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

მ ო წ ო დ ე ბ ა ნ ი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

1953 წლის 1 მაისისათვის

1. გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს!

უფრო მაღლა ავწიოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა!

2. გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობას!

არ არის ისეთი სადავო ან გადაუჭრელი საკითხი, რომლის გადაჭრაც არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით დაინტერესებული ქვეყნების ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე!

3. ყველა ქვეყნის მშრომელებო! მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას! განამტკიცეთ ხალხთა ერთიანობა მშვიდობისათვის ბრძოლაში, გაამრავლეთ და დარაზმეთ მშვიდობის მომხრეთა რიგები!

4. ძმური სალამი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, რომელნიც წარმატებით აშენებენ სოციალიზმს!

გაუმარჯოს და განმტკიცდეს სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა და თანამშრომლობა!

5. ძმური სალამი დიდ ჩინელ ხალხს, რომელმაც ახალი წარმატებანი მოიპოვა მძლავრი სახალხო-დემოკრატიული ჩინეთის სახელმწიფოს მშენებლობაში!

დაე განმტკიცდეს და აყვავდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დიადი მეგობრობა — შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების მტკიცე დასაყრდენი!

6. ძმური სალამი გმირ კორეელ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის!

7. სალამი გერმანელ ხალხს, რომელიც იბრძვის საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადებისათვის, ერთიანი, დამოუკიდებელი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანიის შექმნისათვის!

8. სალამი იაპონელ ხალხს, რომელიც მამაცურად იბრძვის ეროვნული აღორძინებისათვის, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე იაპონიისათვის!

9. ძმური სალამი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომელნიც იბრძვიან იმპერიალისტური უღლის წინააღმდეგ, თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!

10. გაუმარჯოს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას მათს ბრძოლაში ომის თავიდან აცილებისა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის!

11. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას — მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ურყევ პოლიტიკას, ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის ურყევ პოლიტიკას, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას!

12. ძმური სალამი ყველა ხალხს, რომელნიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ!

13. საბჭოთა მეომრებო! გულმოდგინედ აიმაღლეთ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა, სრულყავით თქვენი საბრძოლო ოსტატობა! დაუცხრომლად განამტკიცეთ სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერება!

დიდება საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, რომელნიც დგანან ჩვენი სამშობლოს მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე!

14. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კიდევ უფრო მჭიდროდ დავრაზმოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, დავრაზმოთ ჩვენი ძალები და შემოქმედებითი ენერგია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის!

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას!

15. საბჭოთა კავშირის მუშებო, კოლმეურნეებო, ინტელიგენციავ! აქტიურად იბრძოლეთ იმისათვის, რომ განხორციელდეს პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებული პოლიტიკა, რომლის მიზანია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი ზრდა და ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელი აღმავლობა!

16. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! განამტკიცეთ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირი, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობა! დაუცხრომლად განამტკიცეთ დიადი საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთიანობა!

17. საბჭოთა მოქალაქეების უფლებები, რომლებიც გარანტირებულია ჩვენი კონსტიტუციით, ურყევია და მათ წმიდად იცავს საბჭოთა მთავრობა.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციას!

18. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის! იბრძოლეთ სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომი ზრდისათვის!

19. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! განუწყვეტლივ ზარდეთ შრომის ნაყოფიერება! გამოავლინეთ და ფართოდ გამოიყენეთ წარმოების რეზერვები, განუხრელად განახორციელეთ მომჭირნეობის რეჟიმი! გააუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი, შეამცირეთ მისი თვითღირებულება!

20. ქვანახშირის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ ქვანახშირის ამოღება, უფრო სწრაფად აშენეთ და აამუშავეთ შახტები! უფრო ფართოდ დანერგეთ ახალი მანქანები და მექანიზმები! მივცეთ სახალხო მეურნეობას მეტი, მაღალი ხარისხის ქვანახშირი!

21. ნავთობის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გააძლიერეთ ნავთობის ჭაბურღილთა ბურღვის, ახალი სარეწებისა და ნავთობგადამმუშავებელი ქარხნების მშენებლობის ტემპი! მეტი მაღალი ხარისხის ნავთობი და ნავთობპროდუქტები სახალხო მეურნეობისათვის!

22. ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად ჩააყენეთ მწყობრში ახალი ენერგეტიკული სიმძლავრენი! შეუფერხებლად უზრუნველყავით ელექტროენერგიითა და ელექტროტექნიკური მოწყობილობით სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებანი!

23. საბჭოთა მეტალურგებო! გააუმჯობესეთ მეტალურგიულ და სამთამადნო საწარმოთა სიმძლავრეების გამოყენება, განავითარეთ საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია! უფრო ფართოდ დანერგეთ შრომის მოწინავე მეთოდები! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფერადი ლითონი!

24. მანქანათმშენებლობის საწარმოთა მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად აითვისეთ და გაადიდეთ ახალი მანქანების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობის წარმოება, გააუმჯობესეთ მათი ხარისხი! უზრუნველვყოთ მანქანათმშენებლობის — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შემდგომი მძლავრი ტექნიკური პროგრესის საფუძვლის განვითარების ძლიერი ტემპი!

25. ქიმიური მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ მინერალური სასუქებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოება სახალხო მეურნეობისათვის! გააუმჯობესეთ ქიმიური ქარხნების პროდუქციის ხარისხი!

26. მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად აშენეთ და ჩააყენეთ მწყობრში ახალი საწარმოები, საცხოვრებელი სახლები, სკოლები და საავადმყოფოები! უფრო ფართოდ დანერგეთ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები, უკეთ გამოიყენეთ მექანიზმები! შეამცირეთ მშენებლობის ღირებულება და გააუმჯობესეთ მისი ხარისხი! მივცეთ ჩვენი სამშობლოს მშენებლობებს მეტი საშენი მასალა!

27. ხატყეო და ქაღალდის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება, მთლიანად გამოიყენეთ მექანიზმები! ყოველი ღონისძიებით გააუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი ხე-ტყის მასალა, ქაღალდი და ავეჯი!

28. მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გააუმჯობესეთ მასობრივი მოხმარების საქონლის ხარისხი და გააფართოვეთ მისი ასორტიმენტი! დაზოგეთ ნედლეული, შეამცირეთ პროდუქციის თვითღირებულება! მეტი სამრეწველო და სასურსათო საქონელი საბჭოთა ხალხის მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად!

29. საბჭოთა ტრანსპორტის მუშაკებო! იბრძოლეთ რკინიგზების გამტარუნარიანობის გადიდებისათვის! ყოველი ღონისძიებით გააუმჯობესეთ მოძრავი შემადგენლობისა და ავტომანქანების გამოყენება! გაადიდეთ ტვირთბრუნვა და შეამცირეთ ტვირთზიდვის თვითღირებულება! უკეთ მოემსახურეთ მგზავრებს! უზრუნველყავით რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის ზუსტი მუშაობა!

30. კავშირგაბმულობის მუშაკებო! განავითარეთ და სრულყავით კავშირგაბმულობის საშუალებანი! აუმჯობესეთ ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიოს მუშაობის ხარისხი! აუმჯობესეთ მოსახლეობის მომსახურება!

31. საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკებო! უფრო სწრაფად გადაზიდეთ ტვირთები სახალხო მეურნეობისათვის! გაადიდეთ ტვირთზიდვის მოცულობა, დააჩქარეთ გემთა ბრუნვა, აუმჯობესეთ ნავსადგურებისა და გემთშემკეთებელი ქარხნების მუშაობა! იბრძოლეთ 1953 წლის ნავიგაციის სანიმუშოდ მოწყობისათვის!

32. სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მუშაკებო! დაუცხრომლად იბრძოლეთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობის გამრავლებისა და მისი პროდუქტიულობის ზრდისათვის! შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვე!

33. კოლმეურნეებო! იბრძოლეთ ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და აყვავებისათვის! იბრძოლეთ საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის გადიდებისათვის! წმიდად დაიცავით სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება — საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონი!

34. საბჭოთა ვაჭრობის მუშაკებო! განავითარეთ სასურსათო და სამრეწველო საქონლის ვაჭრობა ქალაქად და სოფლად, გააფართოვეთ მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი! სანიმუშოდ მოემსახურეთ საბჭოთა მომხმარებელს!

35. სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურენო! გააუმჯობესეთ საბჭოთა აპარატის მუშაობა, განამტკიცეთ სახელმწიფო დისციპლინა, მტკიცედ დაიცავით სოციალისტური კანონიერება, გულისხმიერად მოეკიდეთ მშრომელთა მოთხოვნილებებს!

36. სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლესი სკოლის მუშაკებო! განავითარეთ საბჭოთა მეცნიერება! უფრო გაბედულად გაშალეთ სამეცნიერო მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკა! განამტკიცეთ მეცნიერების კავშირი წარმოებასთან, გააუმჯობესეთ და გააფართოვეთ სახალხო მეურნეობისათვის სპეციალისტების მომზადება!

37. ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებო! აამაღლეთ თქვენი შემოქმედების იდეური და მხატვრული დონე! შექმენით ჩვენი დიდი ხალხის შესაფერისი ნაწარმოებნი!

38. სახალხო განათლების მუშაკებო! აამაღლეთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი, შეაიარაღეთ მოსწავლეები მეცნიერების საფუძველთა ცოდნით! აღზარდეთ სოციალისტური საზოგადოების კულტურული, განათლებული მოქალაქეები, კომუნიზმის აქტიური მშენებლები!

39. მედიცინის მუშაკებო! გააუმჯობესეთ და განავითარეთ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმე, აამაღლეთ სამკურნალო და სანიტარიულ დაწესებულებათა მუშაობის კულტურა! დანერგეთ პრაქტიკაში მედიცინის მეცნიერების მიღწევები!

40. საბჭოთა ქალებო! იბრძოლეთ ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს!

41. გაუმარჯოს ახალგაზრდობის საკავშირო ლენინურ კომუნისტურ კავშირს — კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აქტიურ თანაშემწეს და რეზერვს!

42. გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

43. საბჭოთა ჭაბუკებო და ქალიშვილებო! დაეუფლეთ მეცნიერებას, ტექნიკასა და კულტურას! იყავით მტკიცენი და გაბედულნი ლენინ — სტალინის დიადი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში! თქვენი თავდადებული შრომით განამტკიცეთ ჩვენი სამშობლოს ძლიერება, ამრავლეთ საბჭოთა ხალხის წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში!

44. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით მეხუთე ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში!

45. გაუმარჯოს დიდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დიდების ბურჯს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევ დასაყრდენს!

46. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხის დიად წარმმართველ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

47. ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის

ცენტრალური კომიტეტი

ლენინიზმის დიადი და ცხოველმყოფელი ძალა

საბჭოთა ხალხმა თავისი მშობლიური პარტიის ხელმძღვანელობით, უკვდავი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის წინამძღოლობით მოიპოვა უდიდესი ისტორიული გამარჯვებები — ააშენა სოციალისტური საზოგადოება და ამჟამად წარმატებით მიდის წინ კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ. ეს ლენინიზმის — ლენინისა და სტალინის დიადი მოძღვრების ზეიმია.

რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი ძალით იჩენს თავის ცხოველმყოფელობას და სიდიადეს ყველა დროისა და ეპოქის უდიდესი გენიოსების — ლენინისა და სტალინის იდეები.

ლენინისა და სტალინის სახელს სიყვარულითა და მოწიწებით წარმოთქვამენ ხალხები მსოფლიოს ყველა ენაზე. ლენინისა და სტალინის უკვდავი მოძღვრება წარმოადგენს მილიონთა ბრძოლის დროშას მთელ მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

ყოველი წლის 22 აპრილს საბჭოთა ადამიანები, ჩვენი მოძმე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხები, მთელი მსოფლიოს მშრომელები აღნიშნავენ ვ. ი. ლენინის დაბადების დღეს. ამ დღეს, 1870 წელს, დაიბადა ადამიანი, რომლის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია ახალი ეპოქა მარქსიზმის განვითარებაში, მსოფლიოს რევოლუციურ და მუშათა მოძრაობაში. ლენინიზმი წარმოიშვა როგორც მარქსიზმის პირდაპირი გაგრძელება და განვითარდა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ ისტორიულ პირობებში. ლენინიზმი — ეს იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმია. დიდმა ლენინმა რევოლუციური თეორიის კაშკაშა შუქით გზა გაუნათა მუშებს, გლეხებს, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს იმპერიალისტური მონობისაგან განთავისუფლებისათვის, ნათელი და ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში.

ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა შექმნეს, აღზარდეს და მრავალ ბრძოლათა ქარცეცხლში გამოაწრთეს ახალი ტიპის მარქსისტული პარტია — პროლეტარიატის რევოლუციური ავანგარდი, რომელიც წინ წაუძღვა რუსეთის პროლეტარიატსა და გლეხობას და ძლევამოსილ გამარჯვებამდე მიიყვანა ისინი. ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით სასტიკ ბრძოლებში გამოიჭედა ჩვენი პარტიის რიგების ერთიანობა და დარაზმულობა. ამ ერთიანობითა და დარაზმულობით მიაღწია მან მუშათა კლასის მტრებზე გამარჯვებას, ამ ერთიანი და დარაზმული პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს მშრომელთა ჩაგრულმა და დაბეჩავებულმა მასებმა მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა და დაამყარეს მუშებისა და გლეხების ხელისუფლება.

„ლენინის სიდიადე, — წერდა ი. ბ. სტალინი, — უწინარეს ყოვლისა, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ, შექმნა რა საბჭოების რესპუბლიკა, ამით მან საქმით უჩვენა მთელი მსოფლიოს ჩაგრულ მასებს, რომ ხსნის იმედი არ არის დაკარგული, რომ მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობა დიდხანს ვერ გასტანს, რომ შრომის სამეფო შეიძლება დამყარდეს თვით მშრომელთა ძალღონით, რომ შრომის სამეფო საჭიროა დამყარდეს მიწაზე და არა ზეცაში. ამით მან განთავისუფლების იმედი აუნთო გულში მთელი მსოფლიოს მუშებსა და გლეხებს. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ლენინის სახელი მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ყველაზე საყვარელი სახელი გახდა“.

სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის გაფართოება — სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარება ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში, რომელთა ხალხები მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის გზას; ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაჩაღება კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში; მთელი მსოფლიოს მშრომელთა მოძრაობა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის — ყოველივე ეს შესანიშნავად ადასტურებს დიდი სტალინის ამ სიტყვებს, ლენინისა და სტალინის დიადი მოძღვრების ძალასა და ცხოველმყოფელობას.

ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა სამოქალაქო ომისა და უცხოელ იმპერიალისტთა ინტერვენციის მძიმე წლებში დაიცვა დიდი ოქტომბრის მონაპოვარნი და შეუდგა სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში. როცა ჩვენს პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს თავს დაატყდათ დიდი უბედურება — გარდაიცვალა ვ. ი. ლენინი, — ლენინის დროშა ხელთ აიღო და წინ წაიღო ლენინის სახელოვანმა მოწაფემ, მისმა ერთგულმა თანამებრძოლმა და მისი დიადი საქმის განმგრძობმა ი. ბ. სტალინმა.

ახორციელებდა რა ვ. ი. ლენინის ანდერძს, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით ააშენა სოციალისტური საზოგადოება, რომელიც თავისუფალია ექსპლოატაციისაგან, კრიზისებისა და უმუშევრობისაგან; საზოგადოება, სადაც დამკვიდრებულია ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა მეგობრობა, ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი; საზოგადოება, რომლის დროსაც ზრუნვა მშრომელი ადამიანის სიკეთისათვის შეადგენს უმაღლეს კანონს; საზოგადოება, სადაც ძირითად ეკონომიკურ კანონს წარმოადგენს „მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით“. (ი. ბ. სტალინი).

ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით განუზომლად გაიზარდა საბჭოთა სახელმწიფოს ძალები, რამაც ჩვენი ქვეყანა გადააქცია სოციალიზმის უძლეველ სიმაგრედ. ჩვენი ქვეყნის ამ ძალებმა მთელი თავიანთი სიძლიერით იჩინეს თავი დიდი სამამულო ომის წლებში. ლენინის დროშით, დიდი სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა ხალხმა მეორე მსოფლიო ომში მოიპოვა ფაშიზმზე ისტორიული გამარჯვება, რამაც ძირეულად შეცვალა მთელი საერთაშორისო ვითარება. კიდევ უფრო მეტი ძალით იჩინა თავი ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი საბჭოთა სახელმწიფოს უპირატესობებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის დროს. საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სწრაფად მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები, კვლავ დაუბრუნდა რა კომუნიზმის მშენებლობის გზას.

დიდმა სტალინმა შემდგომ განაგრძო და განავითარა ლენინის მოძღვრება ყველა დარგში. მისი ახალი გენიალური ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიდი ნათელი პროგრამაა. ისტორიულ სიტყვაში პარტიის XIX ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა მთელი მსოფლიოს მშრომელებს, მათს ავანგარდს — კომუნისტურ და მუშათა პარტიებს დაუსახა კაპიტალიზმისაგან განთავისუფლების ამოცანა, უჩვენა ამ განთავისუფლების გზები.

მიმდინარე წლის 5 მარტს ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, მთელი მსოფლიოს მშრომელებმა უმძიმესი დანაკლისი განიცადეს — შეწყდა დიდი ბელადისა და ბრძენი მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გულისცემა. დიდი სტალინის გარდაცვალებით გამოწვეული გლოვის დღეებში ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი და გამოზრდილი კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობის გარშემო. დიდი სტალინის საქმე მტკიცე ხელშია. ლენინისა და სტალინის დროშა წინ მიაქვთ და საბჭოთა ხალხი კომუნიზმის გზით მიჰყავთ მათს სახელოვან თანაბრძოლებსა და მოწაფეებს.

ლენინი და სტალინი ჩვენს პარტიას, საბჭოთა ხალხს ასწავლიდნენ დაუცხრომლად განამტკიცონ პარტიის მონოლითური ერთიანობა, თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ პარტიის წევრის მაღალ წოდებას. ჩვენი პარტიული ორგანიზაციების წმიდა მოვალეობაა არასოდეს არ დაივიწყონ ეს ანდერძი და სულ უფრო განამტკიცონ თავიანთი რიგები, აამაღლონ თავიანთი ბრძოლისუნარიანობა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

ლენინი და სტალინი გვასწავლიდნენ განუხრელად გავაფართოოთ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური თანამეგობრობა, ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და იმარჯვებს, ჩვენთვის საშიში არ არის არავინ — არც შინაური და არც გარეშე მტერი. ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა სულ უფრო გაა-ფართოონ თავიანთი მუშაობა ხალხთა ამ დიადი მეგობრობის განმტკიცებისათვის, ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის მაღალი იდეებით მასების აღზრდისათვის.

ლენინი და სტალინი გვასწავლიდნენ, რომ ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობა მდგომარეობს ხალხის მასებთან მის განუყრელ კავშირში. ლენინ — სტალინის პარტიის მთელი ისტორია გვიჩვენებს, რომ მასებთან ფართო კავშირის გარეშე, ამ კავშირის მუდმივად განმტკიცების გარეშე, მასების ხმისათვის ყურის დაგდების, ქვემოდან მომდინარე კრიტიკისა და თვითკრიტიკის გარეშე შეუძლებელია სწორი ხელმძღვანელობა. კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენი წინსვლის იარაღია, კადრების აღზრდის კომუნისტური მეთოდია. მტკიცედ იცავს რა ლენინიზმის ამ პრინციპს, ჩვენი პარტია მუდამ აღწევს გამარჯვებებს. ცალკეული ხელმძღვანელები, რომლებიც ივიწყებენ თავიანთ ნაკლოვანებებს, ბაქიობენ არარსებული წარმატებებით, ქვემოდან კრიტიკის გაჩაღებას ცვლიან მხოლოდ დეკლარაციებით კრიტიკის გაჩაღების შესახებ, სწრაფად კარგავენ ავტორიტეტს და პოლიტიკურად კოტრდებიან. ასე დაემართათ ამ უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ ხელმძღვანელებს. ისინი ძლიერ ბევრს ხმაურობდნენ მასებთან კავშირზე, ქვემოდან კრიტიკის გაჩაღებაზე, მაგრამ სინამდვილეში გასაქანს არ აძლევდნენ კრიტიკას, ვერ ითმენდნენ, ახშობდნენ მას, შურს იძიებდნენ იმაზე, ვინც გაბედავდა მათ გაკრიტიკებას. ამას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია მათი სახელის გატეხა და მასების თვალში ნდობის დაკარგვა.

ლენინი და სტალინი ასწავლიდნენ ჩვენს პარტიას, რომ კადრების აღზრდა და მათი განაწილება პოლიტიკური და საქმიანი ნიშნის მიხედვით პარტიული მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. პარტია, განუხრელად ახორციელებს რა ამ ლენინურ-სტალინურ პრინციპს, გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს. კადრების აღზრდისა და განაწილების ეს პრინციპი დავიწყებული ჰქონდათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ ხელმძღვანელებს და უხეშად არღვევდნენ მას. კადრების შერჩევას ისინი ეწეოდნენ არა პოლიტიკური და საქმიანი ნიშნების მიხედვით, არამედ პირადი ერთგულების, ნაცნობ-მეგობრობის, მეზობლური დამოკიდებულების ნიშნით. ცხადია, ასეთი შინაურულობის და ოჯახურობის ვითარებაში არავითარი გასაქანი არ ეძლეოდა კრიტიკას, პრინციპული მუშაობის მაგიერ ვიღებდით უპრინციპო ურთიერთობას, ანგარიშის გასწორებას ყველასთან, ვინც გაბედავდა ამ არანორმალობის მხილებას. ამას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია ასეთ „ხელმძღვანელთა“ გაკოტრება, და პარტიამ მოიშორა ისინი. ამოცანა ის არის, რომ ბოლომდე ვამხილოთ და აღმოვფხვრათ მუშაობის ეს მანკიერი სტილი, დავსაჯოთ მუშაობის ამ სტილის დანერგვაში კონკრეტული დამნაშავენი.

ლენინი და სტალინი გვასწავლიდნენ, რომ კომუნიზმის მშენებლობა წარმოუდგენელია შრომის ნაყოფიერების მუდმივი ზრდის გარეშე. განუხრელად ვიბრძოლოთ ახალი და ახალი წარმატებებისათვის სახალხო მეურნეობის ფრონტზე, ყოველდღიურად ვამრავლოთ ისინი, გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ახალი ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, ვიბრძოლოთ უფრო მეტი მიღწევებისათვის მეცნიერებისა და კულტურის ფრონტზე — აი პარტიის ყოველი წევრის, ყოველი საბჭოთა ადამიანის წმიდა მოვალეობა, აი კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთი მძლავრი პირობა.

ლენინისა და სტალინის დიადი მოძღვრება მთელი მსოფლიოს მშრომელთა უნათებს კაპიტალისტთა და მემამულეთა ბატონობისაგან განთავისუფლების გზას, იგი მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მათი ბრძოლის დროშაა. ლენინისა და სტალინის სახელს უკავშირებენ თავიანთ სანუკვარ მიზნებს კაპიტალის მონობაში მყოფი ადამიანები. ლენინისა და სტალინის სახელები ყველაზე ძვირფას, ყველაზე საამაყო სახელებად გადაიქცა მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის.

ლენინისა და სტალინის დროშით საბჭოთა ხალხმა მოიპოვა თავისუფლება. ამ დროშით ააშენა მან სოციალისტური საზოგადოება. ამავე დროშით, ლენინისა და სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ ავაშენებთ კომუნიზმს.

ლენინ — სტალინის დიადი დროშით წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ!

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი ინტერესით აღნიშნავენ ვ. ი. ლენინის დაბადების 83 წლისთავს, ეწყობა საუბრები, ლექციები და მოხსენებები.

საქართველოს მშრომელები განსაკუთრებული ინტერესით ათვალიერებენ ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს, სადაც გამოფენილია მდიდარი ექსპონატები, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი. ამ დღეებში მუზეუმი დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა, მაუდ-კამოლის ფაბრიკის, ფიზიოთერაპიული საავადმყოფოს, გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ სტამბის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივებმა. მუზეუმში მივიდნენ კოლმეურნეები ჩხოროწყუს, ხობის, საგარეჯოს და სხვა რაიონებიდან. მუზეუმის იმ განყოფილებისადმი, სადაც ვ. ი. ლენინის ყმობისა და ახალგაზრდობის წლების მასალებია ექსპონირებული, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდები. აქ მოვიდნენ თბილისის ქალთა მე-3 და პოლიგრაფიული სკოლების მოსწავლეები, სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და პოლიტექნიკური ინსტიტუტების სტუდენტები.

მარტო უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში მუზეუმი 3.000-ზე მეტმა მშრომელმა ინახულა. ისინი გულდასმით ისმენდნენ ლექციებს, მიძღვნილს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი. ლექციის დამთავრების შემდეგ ექსკურსანტებს უჩვენებდნენ მოკლემეტრაჟიან დოკუმენტალურ ფილმს „ვ. ი. ლენინი“.

მთაბეჭდილებათა წიგნი სავსეა ჩანაწერებით, რომლებიდანაც ნათლად ჩანს ჩვენი ქვეყნის მშრომელების უდიდესი სიყვარული და პატივისცემა მსოფლიო პროლეტარიატის ბრძენი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ხსოვნისადმი, უანგარო სიყვარული ლენინურ-სტალინური კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი.

ვ. ი. ლენინის დაბადების 83 წლისთავის აღსანიშნავად

თბილისის მშრომელები მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხთან ერთად ფართოდ აღნიშნავენ ვ. ი. ლენინის დაბადების ისტორიულ თარიღს. რაიკომების პარტიულ ბიბლიოთეკებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში იმართება ლექციები, მოხსენებები და საუბრები, მიძღვნილი ხალხთა დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი.

კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში, თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პარტიულ ბიბლიოთეკაში წაკითხულ იქნა ლექციები და მოხსენებები მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი. გამოფენილია სათანადო ლიტერატურა.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის აგიტატორები ი. მაჩაიძე, ა. კერვალიშვილი, გ. მემანიშვილი და სხვები საინტერესოდ უყვებიან მუშებს ვ. ი. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის, ხალხთა საყვარელი ბელადების ლენინისა და სტალინის დიადი მეგობრობის შესახებ. ქარხნის პარტიულ ბიბლიოთეკაში გამოფენილია ვ. ი. ლენინის ნაშრომები და დიდი ბელადის რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი ლიტერატურა.

პირველი თბომავალი ვოლგიდან

ციმლიანსკი, 18 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ მოვიდა ვოლგის თბომავალი „კომპოზიტორი ვარლამოვი“. წლევანდელ ნავიგაციაში მან პირველმა გაიარა ვ. ი. ლენინის სახელობის სანაოსნო არხი და გადაიარა ციმლიანსკის ზღვა.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში თბომავლის კაპიტანმა ამხ. მინენკომ თქვა:

— მიუხედავად, იმისა, რომ ეკიპაჟს არ უვლია ამ სამდინარო გზით, რეისმა კრასნოარმეისკიდან ციმლიანსკის ნავსადგურამდე წარმატებით ჩაიარა.

1-ლი რაბის კამერაში ჩვენ შევედით 15 აპრილს 17 საათზე. რაბვამ განსაკუთრებით კარგად ჩაიარა. მთელი არხი და მისი წყალსაცავები „კომპოზიტორმა ვარლამოვმა“ — გაიარა 17 საათში.

დღეს 5 საათსა და 30 წუთზე ჩვენ მოვედით ციმლიანსკის ნავსადგურში. ციმლიანსკის ზღვა თბომავალმა გაიარა 12,5 საათში.

ლენინგრადის მწვანე სამოსი

ლენინგრადი, 20 აპრილი. (საკდესი). დღეს ქალაქში დაიწყო ხეების, ბუჩქებისა და ყვავილების მასობრივი საგაზაფხულო რგვა. 597 ბაღში, პარკში, სკვერსა და ბულვარში წელს დაირგება დაახლოებით ერთი მილიონი დეკორაციული ბუჩქი და ხე და ათ მილიონზე მეტი ყვავილი. ი. ბ. სტალინის სახელობის პროსპექტის, მოსკოვისა და ზოვისპირა „გამარჯვების პარკების“, მარსის მოედნისა და ხელოვნების მოედნის მწვანე სამოსი შეივსება მრავალწლიანი მუხებით, ალვისხეებით, ცაცხვებით, ნეკერჩხლებითა და თელებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს სსრ კავშირის ... სიგელები გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის სიგელები გადასცა ამერიკის შეერთებული შტატების

20 აპრილს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ჩ. ე. ბოლენი, რომელმაც თავისი რწმუნების სიგელები გადასცა.

ელჩს ახლდნენ საელჩოს მრჩეველები ჯ. დ ბიმი და ე. ო'შონესი, სამხედრო-საზღვაო ატაშე კაპიტანი ჯ. გ. ლანგი, სამხედრო-საჰაერო ატაშე პოლკოვნიკი ფ. რ. ჰოუსი, სამხედრო ატაშის თანაშემწე პოდპოლკოვნიკი ფ. იგერი, საელჩოს მრჩეველი ჯ. მ. მაკსუინი, საელჩოს მდივნები ჯ. ჯ. ჯონსი, ფ. სისკოე, უ. ლ. მაგისტრეტი, დ. ჰ. ჰენრი, რ. ტ. დევისი, დ. კლეინი, ფ. ჰ. ვოლდესი, ჯ. ა. ჰარვი და კ. ე. სომერლეტი, რომლებიც ელჩმა წარუდგინა კ. ე. ვოროშილოვს.

რწმუნების სიგელების გადაცემას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. მ. პუშკინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის შეერთებული შტატების განყოფილების გამგე გ. პ. არკადიევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ა. გ. კულაჟენკოვი.

ელჩის მიერ რწმუნების სიგელების გადაცემისას კ. ე. ვოროშილოვმა და ჩ. ე. ბოლენმა ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით.

ჩ. ე. ბოლენმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თავის საგარეო პოლიტიკაში განუხრელად ხელმძღვანელობს მისწრაფებით — ხელი შეუწყოს მშვიდობის საქმეს, გააძლიროს პატივისცემა საერთაშორისო ვალდებულებებისადმი და განავითაროს მეგობრული ურთიერთობა ყველა ქვეყანას შორის. ამ პრინციპების შესაბამისად, თქვა ბოლენმა, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას იმედი აქვს, რომ ყველა საკითხი, რომელიც მოითხოვს მოწესრიგებას ორივე მხარეს შორის, შეიძლება მეგობრულად გადაიჭრას.

ელჩმა განაცხადა, რომ იგი თავის მოღვაწეობას წარმართავს ამ მიზნების მისაღწევად და რომ იგი ეცდება პატიოსნად გამოხატოს იმედები და მისწრაფებანი ამერიკელი ხალხისა, რომელიც გულწრფელი მეგობრობის გრძნობით ეკიდება სსრ კავშირის ხალხებს.

ელჩმა იმედი გამოთქვა, რომ მისი ღონისძიებანი მხარდაჭერას ჰპოვებენ საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთა მხრივ.

საპასუხო სიტყვაში კ. ე. ვოროშილოვმა თქვა, რომ საბჭოთა საგარეო პოლიტიკა არის მშვიდობის პოლიტიკა და მის საფუძველს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მიერ სხვა სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა განუხრელად დაცვა, და გამოთქვა რწმენა, რომ ყველა საკითხი, რომელიც მოითხოვს მოწესრიგებას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის, შეიძლება მეგობრულად გადაიჭრას. რამდენადაც ელჩმა ასეთივე აზრი გამოთქვა, შეიძლება ეჭვი არ ვიქმნიოთ, რომ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის დადებითი განვითარებისადმი მისწრაფება გამოხატავს ორივე ქვეყნის ხალხთა გრძნობებსა და აზრებს. დასასრულ კ. ე. ვოროშილოვსა აღნიშნა, რომ ელჩის მოღვაწეობა, რომლის მიზანია მეგობრული ურთიერთობის განვითარება შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის, გაგებასა და სრულ მხარდაჭერას ჰპოვებს საბჭოთა მთავრობის მხრივ.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და სიტყვების წარმოთქმის შემდეგ კ. ე. ვოროშილოვი ესაუბრა ჩ. ე. ბოლენს. საუბარში მონაწილეობა მიიღო გ. მ. პუშკინმა. (საკდესი).

მშენებლობა, რომელიც გუნებას გარდაქმნის

ფრუნზე, 18 აპრილი. (საკდესი). გაიხსნა რაბები, და მდინარე ჩუს მთის წყალი, რომელმაც გზა შეიცვალა, ფართო ხელოვნური კალაპოტით წაიღო. მაგისტრალური არხი შორს მიდის ვრცელ ველში, ხოლო სამოცდამეექვსე კილომეტრზე მიმდინარეობს ჰიდროტექნიკური ნაგებობათა მშენებლობა. ექსკავატორებს გაჰყავთ ახალი არხების ქსელი საკოლმეურნეო მინდვრებში.

ეს არის დიდი ჩუს არხის დასავლეთი მაგისტრალური შტო. მისი ნაწილი უკვე რწყავს მეტად ნაყოფიერ 20 ათას ჰექტარ მიწას. ფართოდ ჩაღდება მეორე, აღმოსავლეთი მაგისტრალური შტოს მშენებლობა. იმ კოლმეურნეობებმა, რომელთა მიწებსაც ეს არხი მორწყავს, ერთ თვეზე ნაკლებ ხანში დაამთავრეს დაგეგმილ სამუშაოთა ზღვრული მოცულობა.

ცენტრალური ტიან-შანის მთებში მშენებელთა კოლექტივი ქმნის ორტო-ტოკოის წყალსაცავს. ვრცელი ხეობა გადაიქცევა კალაპოტად, სადაც ნახევარ ფერდობზე ... ...

საგაზაფხულო თესვას სუსტად ხელმძღვანელობენ

კომუნისტური პარტიის მიერ სოფლის მეურნეობაში მთავარ ამოცანად დასახულია ყველა საოსფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდება. საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ ჩატარება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება წინ ამ ამოცანის განხორციელებისათვის. სამწუხაროდ, ზოგან ჯერ კიდევ ვერ აფასებენ თესვის გეგმის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში შესრულებას. ასეა, მაგალითად, დმანისის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში. მინდვრის სამუშაოთა ტემპი არ შეესაბამება არსებულ შესაძლებლობებს. საგაზაფხულო თესვას როგორც პარტიის რაიონული კომიტეტი, ისე რაისაბჭოს აღმასკომი და მისი სოფლის მეურნეობის განყოფილება არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ. 15 აპრილისათვის მოხნული იყო 1.399 ჰექტარი, გეგმა კი 5.819 ჰექტარს ითვალისწინებს. 7.410 ჰექტარიდან დათესილი იყო 721 ჰექტარი. თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის დავალება განაღდებულია მაოლოდ 8 პროცენტით, სიმინდისა... 1 პროცენტით.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების ჩამორჩენას რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები ცუდი ამინდით და მუშახელის ნაკლებობით ხსნიან, მაგრამ „ობიექტური" მიზეზები არაფერ შუაშია. ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი არის მტს-ების მატერიალურ-ტექნიკური და კოლმეურნეობათა შრომითი რესურსების სუსტად გამოყენება, ხვნა-თესვის სამუშაოებისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა.

კოლმეურნეობებში ბევრია მუშახელი, მაგრამ მას სათაანადოდ არ იყენებენ. მაგალითად, სოფელ დმანისის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე მ. სამაილოვი) ვერ გამოიყენეს არსებული შესაძლებლობანი, კოლმეურნეთა ერთი ნაწილი საკოლმეურნეო შრომაში არ არის ჩაბმული. ამის შედეგად საგაზაფხულოდ მოხნეს მაოლოდ 41 ჰექტარი, გეგმა კი 372 ჰექტარის მოხვნას ითვალისწინებს. თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის დავალება სანახევროდაც არ შეუსრულებიათ. მუშაობაში ვხვდებით უყაირათობას. მაგალითად, 17 აპრილს მუხამე ბრიგადაში (ბრიგადირი ვ. ბლუდოვი) დმანისის მტს-ის მეოთხე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტი ი. გასანოვი ქერს ისე თესავდა, რომ თესლის მპიშვნელოვანი ნაწილი მიწის ზედაპირზე რჩებოდა. ამავე დღეს პირველ ბრიგადაში (ბრიგადირი მ. გონჩაროვი) დასათესად ჰქონდათ კარტოფილის უკონდიციო თესლი. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ზომებს არავინ იღებს. დაწესებული არ არის აგრონომიული კონტროლი მინდვრის სამუშაოების ხარისხისადმი. მთლიანად არ არის გამოყენებული აგრეთვე შრომითი რეზერვები. 17 აპრილის ბრიგადის 38 წევრიდან სამუშაოდ დაგვიანებით გამოვიდა 21 კოლმეურნე. მტს-ის მეოთხე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტი ბ. იბრაგიმოვი ცუდად ნთავდა, ნაკვეთი ქვებისაგან არ იყო გაწმენდილი. ამ კოლმეურნეობის ზოგიერთი ნაკვეთი პარტიის რაიონული კომიტეტის შენობას დაშორებულია ორასოდენ მეტრით. მიუხედავად ამისა, პარტიის რაიკომისა და რაიაღმასკომის მუშაკებისათვის აგროტექნიკის უხეში დარღვევის ფაქტები შუამნეველი რჩება. ისინი კაპიტალიდან ხელმძღვანელობენ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს, ნაკლებად დადიან საკოლმეურნეო მინდვრებში, არ იჩენენ მომთხოვნელობას მინდვრის სამუშაოთა მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩატარებისათვის.

სოფელ ჯავახის კოლმეურნეობაში შრომის მოუწესრიგებლობის შედეგად საგაზაფხულო ხვნა-თესვის დავალება სანახევროდაც არ არის შესრულებული ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვა. არის აგროწესების დარღვევაც. მეოთხე ბრიგადის მესამე რგოლის (მერგოლური ლ. ოქრიაშვილი) წევრებმა ე. ოქრიაშვილმა და ფ. შარბანაშვილმა კარტოფილი ზერელედ დათესეს. აგროწესებს არ იცავენ სოფელ ყიზილქილისის კოლმეურნეობაში. 16 აპრილს პირველი ბრიგადის ნაკვეთში კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილის მ. ახმადოვის თვალწინ თესავდნენ ისეთ კარტოფილს, რომლის დიდი ნაწილი დამპალი იყო.

სოფელ ვარდისუბნის კოლმეურნეობაში მინდვრის სამუშაოებისადმი უდარდელი დამოკიდებულების შედეგად საგაზაფხულოდ დათესეს მაოლოდ 32 ჰექტარი, გეგმით კი ნავარაუდევია 205 ჰექტარის დათესვა. დიდად ჩამორჩა კარტოფილის თესვა. ეს იმით აიხსნება, რომ კოლმეურნეობაში კარტოფილის სათესი მანქანა ხუთი დღეა ცდება სტანდარტული თესლის უქონლობის გამო. კოლმეურნეობის ხელმძღვანელები მექანიზაციის შეუფასებლობას იჩენენ.

თესვას მოუმზადებელი შეხვდნენ სოფელ კამარლოს კოლმეურნეობაში. აქ კარტოფილის თესვის დავალება განაღდებულია მაოლოდ 3 პროცენტით. ეს იმით არის გამოწვეული, რომ როგორც რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებამ, ისე კოლმეურნეობის გამგეობამ უდარდელობა გამოიჩინეს და დროულად არ მიიღეს ზომები კარტოფილის თესლის შესაძენად. კოლმეურნეობას 18 აპრილისათვის აკლდა 1.050 კილოგრამი თესლი. ძლიერ ჩამორჩნენ თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვაში. სოფელ ამამლოს კოლმეურნეობის გამგეობას დასათესი აქვს 486 ჰექტარი, მათ შორის თავთავიანი მარცვლეული კულტურები 150 ჰექტარი. მაგრამ თესვა 16 აპრილისათვის არ ჰქოდათ დაწყებული. ამავე რიცხვისათვის მოხნული ჰქონდათ მაოლოდ 6 ჰექტარი.

არც კარტოფილის თესლი აქვთ და ხელიდან უშვებენ თესვისათვის ხელსაყრელ ამინდს. თესლის უქონლობის გამო კარტოფილს ვერ თესავენ სოფელ კიროვისის, განახლების, ორგანჩაის და სხვა კოლმეურნეობებში. სულ რაიონში აკლიათ 5.245 ცენტნერი კარტოფილის თესლი.

მტს-ი წამყვანი ძალაა საგაზაფხულო თესვაში. დმანისის მტს-ის (დირექტორი ამხ. რ. მიროტაძე) კოლექტივი არადამაკმაყოფილებლად ეხმარება კოლმეურნეებს მინდვრის სამუშაოებში. მეტწილ შემთხვევებში ტრაქტორებს სრული დატვირთვით ვერ იყენებენ ხვნა-თესვაზე. მტს-ი ჩამორჩა კარტოფილის, თავთავიანი მარცვლეული კულტურებისა და სიმინდის თესვაში. ამის ძირითადი მიზეზია მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სუსტი გამოყენება. ამასთან, კოლმეურნეობებიც არ უწყობენ ხელს სატრაქტორო ბრიგადებს მუშაობაში. კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადებისა და მტს-ის სატრაქტორო ბრიგადების მჭიდრო ურთიერთკავშირის უქონლობა აფერხებს მინდვრის სამუშაოთა დროულად შესრულებას. სოფელ ვარდისუბანში კარტოფილის სათესი მანქანა თესლის უქონლობის გამო ხუთ დღეზე მეტია უსაქმედოდ არის, ხოლო დმანისის კუბიშევის სახ. კოლმეურნეობაში სათესი მანქანით დასათეს ფართობს ხელით თესავენ. მტს-ის მუშაკების მოვალეობა იყო ასეთ შემთხვევაში სათესი მანქანები გამოეყენებინათ იქ, სადაც ამის შესაძლებლობა იყო, და რამდენნაირ დღე არ გაეცდინათ სათესი მასქანა. მაგრამ ამ მდგომარეობას ანგარიში არ გაუწიეს. სოფელ ბოსლების ვორაშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში 17 აპრილს პირველი სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტი გ. სიმონიანები 9 საათი გაცდა იმის გამო, რომ მას კოლმეურნეობამ არ უჩვენა მოსახნავი ფართობი. ტექნიკური და ორგანიზაციული მიზეზებით ხშირად ცდება ტრაქტორები მეექვსე და მეხუთე სატრაქტორო ბრიგადებშიც.

სათანადოდ ვერ აფასებენ აგრეთვე მანქანის მამამელის მუშაობას. ამის შედეგად სოფელ ჯავახის XVII პარტყრილოების სახელობის კოლმეურნეობაში მეორე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტი ს. გუმბაროვი ხვნაზე ისე მუშაობდა, რომ მიესმელი არ ჰყავდა ამის გამო იგი იძულებული იყო ტრაქტორის ყოველ მობრუნებაზე ჩამოსულიყო და გუთანი წესრიგზე მოეყვანა, რაც ტრაქტორის გაცდენასა და საწვავის დაფანტვას იწვევდა. ეს იცოან როგორც კოლმეურნეობაში, ისე მტს-ში. მაგრამ ზომებს არ იღებენ.

ზოგიერთი ტრაქტორისტი გატაცებულია მაოლოდ გეგმის შესრულებით, ივიწყებს შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს, არღვევს აგროტექნიკურ წესებს. სოფელ განთიადის კოლმეურნეობაში მუორე სატრაქტორო ბრიგადამ ცუდად მოხნა ნიადაგი. ასევე, აგროტექნიკის უხეში დარღვევით დათესა ქერი სოფელ დმანისის კოლმეურნეობაში ტრაქტორისტმა ი. გასანოვმა. სათოხნი კულტურების რიგთა შორის კულტივაცია უნდა ჩატარდეს 650 ჰექტარზე, მაგრამ მოხსნები არა აქვთ. ეს მოწმობს, რომ სატრაქტორო სამუშაოთა დაგეგმვას ფორმალურად უდგებიან.

საგაზაფხულო ხვნა-თესვაში ასეთი ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ პარტიის რაიკომი (მდივანი ამხ. გ. კირვალიძე), რაისაბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ამხ. ა. აგაევი) და რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურეობის განყოფილება (გამგე ამხ. დ. ანდღოლაძე) საგაზაფხულო სამუშაოების საქმეში ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს კონკრეტულად და ოპერატულად ვერ ხელმძღვანელობენ, არ სწავლობენ ჩამორჩენის ნამდვილ მიზეზებს და ვერ უწევენ ადგილებს ქმედითს დახმარებას ჩამორჩენის გამოსასწორებლად. ეს მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

შ. ჭოჭუა,
ვ. ხოფერია.
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

მეთევზეები

ოცდასამი წლის წინათ ფოთში ჩამოყალიბდა მეთევზეთა კოლმეურნეობა „კოლხიდა", რომელიც გაუმჯობესებული თევზსაჭერი იარაღებით არის აღჭურვილი. პირველი, ვინც კოლმეურნეობას მოაშურა, იყო გამოცდილი მეთევზე ალექსანდრე ლაითაძე.

ალექსანდრე ლაითაძე ახლა ზღვის თვალუწვდენ სივრცეებზე დასრიალებს არა ნავით, არამედ სპეციალური თევზსაჭერი გემით — სეინერით, რომელსაც აქვს ბადის ამომკრეფი მანქანა, მბრუნავი ბაქანი, ჯალამბარი და სხვა მექანიზებული მოწყობილობა. ყველაფერი ეს დიდად ამუბუქებს მეთევზის შრომას. ლაითაძის ბრიგადა, რომელიც ემსახურება სეინერს, ზოგჯერ ბადის თითო მოსმაზე იჭერს 15-20 ტონა თევზს. გასული წლის ბოლოს ბრიგადა მონაწილეობას იღებდა ქერჩის ექსპედიციაში და 600 ცენტნერამდე სხვადასხვა ხარისხის თევზი დაჭირა. ამ საწარმოო გამარჯვების სული და გული ა. ლაითაძე იყო. მისი მეგობრები და აქტიური თანაშემწეები ევგენი მოტოვი და სეინერის კაპიტანი ივანე კილჩენკო ყოველთვის მზაობაში უდგანან მას. თავდადებას იჩენენ საერთო საქმეში. ალექსანდრეს ძმა გიორგიც შესანიშნავი მეთევზეა და ბრიგადას ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა გაანაღდა 419 პროცენტით და იკისრა წლიური გეგმა ორი თვით ადრე შესრულოს. ა. ლაითაძე იბრძვის იმისათვის. რომ გამგეობას უჭატაკოს წლიური გეგმის შესრულება 1 მაისისათვის. ძმები ეჯიბრებიან ერთმანეთს. რათა სამშობლოს მისცენ მეტი და მაღალხარისხოვანი თევზეული.

მეთევზეთა შორის ლაითაძეები დიდი სიყვარულით სარგებლობენ. ისინი გულადი, პატიოსანი და მშრომელი ადამიანები არიან. მათ ახასიათებთ კოლექტიურობის გრძნობა, ურთიერთპატივისცემა და დახმარება სიძნელეების დროს, როცა ზღვაზე უეცრად მოვარდნილი ქარიშხალი ნავებსა და სეინერებს ჩაბირავს უქადის.

ამ დღეებში მეთევზეები შრომთს სიმამაცეს იჩენენ. თევზის ჭერის პირველი კვარტალის გეგმა მათ 267 პროცენტით გაანაღდეს. დაჭერილი თევზის დიდი ნაწილი მაღალხარისხოვანია — ქაშაკი, წითელი თევზი, კამბალა ანუ ტაბაკა თევზი და სხვ. სეინერის კაპიტანი ირონდი ივანიძე, მექანიკოსი შოთა მიმინოშვილი, მეთევზეები ბორის მიქავა, ნიკოლოზ საბანოვი, გადამტებით ასრულებენ თევზჭერის დღიურ დავალებას.

გრიგოლეთის სათევზაო უბანში კოლმეურნეობის ორი ბრიგადა მუშაობს აქ იჭერენ სვიას, კეფალსა და კამბალას. პირველმა ბრიგადამ, რომელსაც 10 წელზე მეტია გამოცდილი მეთევზე აკაკი კვაშაე ხელმძღვანელობს, სამი თვის გეგმა ვადაზე 18 დღით ადრე 270 პროცენტით შეასრულა. მარტო ერთ დღეს ბრიგადამ დაჭირა 22 ტონა მსხვილი სტავრიდა, რომლიდანაც, როგორც ცნობილია, მზადდება მაღალხარისხოვანი შეზოლილი თევზის პროდუქცია. პირველს აჩც მეორე ბრიგადა ჩამორჩება. მისი ხელმძღვანელი ავქსენტი კვაშანტირაძე საქმეს მცოდნე და ენერგიული მუშაკია. დაუფალავად შრომობენ ეთევზეზეები გრიგოლ პინჩუკი, გურამ ჯორბენაძე, ნიკიფორე ბეკნარაოვი და სხვები.

იმ მიდამოებში, სადაც მდინარე ენგური ზღვას ერთვის. განლაგებულია კოლმეურნეობა „კოლხიდის" ანაკლიის უბანი. რომელიც მდიდარია სვიით, ზუთხით, კამბალითა და ქაშაკით. პირველი მათგანი ქვირითს ყრის 3-4 წელიწადში ერთხელ მდინარეებში — რიონში, ხობისწყალში, ენგურსა და ჭოროხში, რის გამო მისი მარაგის აღდგენა ძალიან ნელა მიმდინარეობს. კიდევ უფრო გვიან მრავლდება ზუთხი. რომელიც პირველხარისხოვანი სამრეწველო მნიშვნელობისაა. გარდა საუკეთესო ხორცისა, მას აქვს გემრიელი ქვირითი რომლისგანაც. მზადდება მარცვლოვანი და აზელილი ხიზილალა. ამ თავისებურებებს კარგად ითვალისწინებს ამ უბნის ბრიგადის ხელმძღვანელი ვარლამ კიკნაძე. იგი აწყობს ზუთხის რაციონალურ ჭერას. ბრიგადამ სამი თვის დავალება ვადამდე 135 პროცენტით გაანაღდა. ახლა აქ ძლიერდება თევზჭერის ტემპი. წინ მიდის ამირან ფიფიას რგოლი.

საქართველოს თევზის მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჰალასტომის ტბას. აქ გავრცელებულია ტარაღანა, კეფალი, ფარგა, ლოქო, კობრი და სხვა თევზი. კოლმეურნეობას ეს ტბა საგრძნობ შემოსავალს აძლევს.

ფოთელ მეთევზე კოლმეურნეებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლის საქმეში. სეინერებზე, დაშმარე ნავებზე, რომლებიც მარდად დასრიალებენ ზღვის სივრცეებზე. მბახველის ყურადღებას იპყრობს წარწერები: „თევზის ჭერის წლიურ გეგმას შევასრულებთ 1 მაისისათვის".

გ. მილიუტინი.

პირველი მაისის შესახვედრად

თბილისის კვანძის რკინიგზელთა შორის საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებშია თბილისის საელექტროსადგურო ლეპოს კოლექტივი, რომელმაც გადაწყვიტა არ შეანელოს მუშაობაში აღებული ტემპი და ახალი მიღწევებით აღნიშნოს საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობისათვის მზადების დღეები. სურათზე: ელექტრომავალთა მოწინავე მემანქანეები, რომლებმაც მარტში და აპრილის პირველ ნახევარში საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს. მარცხნიდან მარჯვნივ — ს. გოგოლაძე, გ. აბაშიძე, გ. ბოგვერაძე და ნ. ლაკაბიძე.

ფოტო ვ. ზარაძისა.

სწავლანოვუჩ ვახვზე

ჭიათურა. („კომუნისტის" კორ.). მაღაროელებს შორის საპირველმაისო შეჯიბრებაში წინმიდის ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც მეოთხე თვეა ინარჩუნებს მარგანეცის ტრესტისა და მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას. ამ მაღაროში კვარტალის დავალება ათი დღით ადრე შეასრულეს, ხოლო აპრილის პირველ დეკადაში სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს ასობით ტონა მარგანეცი. გასხაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მაღაროს კოლექტივი წარმატებით ასრულებს პირველი ხარისხის მარგანეცის დამზადების გეგმას. მაღაროს სტახანოველები — დ. კილაძე, გ. თოდაძე, კ. ციხისეანი, ვ. გაფრინდაშვილი, გ. შეყლაშვილი და მ. სამხარაძე გეგმებს 160-200 პროცენტით ასრულებენ.

აპრილში საგრძნობლად გაუუმჯობესა მუშაობა კაგანოვიჩის სახელობის მაღარომ, რომელიც წარმატებით ასრულებს ყოველდღიურ გეგმებს.

ჭიათურელი სტახანოველები — პ. მიროტაძე, ა. გაფრინდაშვილი, ტ. ფოფხაძე, მ. ჭუმბურიძე, ს. ოთინაშვილი, კ. ღავთაძე, ტ. ჭიღლაძე და მრავალი სხვა საპირველმაისო სტახანოვურ ვახტზე დგანან და გეგმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ.

ფეროშენადნობთა ქარხნის მოწინავე საამქრო

ზესტაფონის ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის ელექტროდების საამქრო ელექტროდების მასას აწვდის ჩვენი სამშობლოს მთელ რიგ მეტალურგიულ ქარხნებს. საამქროს კოლექტივმა გასული წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, ასევე მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გაანაღდა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმაც და ახლა იმისათვის იბრძვის, რომ პირველი მაისისათვის ახალი საწარმოო საჩუქრები მიუძღვნას სამშობლოს.

ქარხანაში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება ცალკე ბრიგადებსა და საწარმოო უბნებს შორის. საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ ელექტროდების მასის გამომშვები ბრიგადები, რომლებსაც გ. ყორყოლიანი დ. ა. კვანტარიშვილი ხელმძღვანელობენ. აარეთვე ანტრაციტის გამომწველი ბრიგადები, რომლებსაც მ. ღვინჯილია და ს. მაჭავარიანი ხელმძღვანელობენ. („კომუნისტის" კორ.).

მუსიკალური ავეჯის ოსტატები

თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატში განსაკუთრებული წარმატებით მუშაობს ავეჯის ამწყობი საამქროს კოლექტივი, რომელსაც დ. ბაბუციძე ხელმძღვანელობს. ამ საამქროში საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ ამწყობებს — გ. სიბაანძეს, ა. ხუბაევს და შ. ნაგოროზაშვილს. ისინი ყოველდღე 3-3,5 ნორმას ანაღდებენ.

დიდად ისახელეს თავი და პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს ამწყობმა დურგალმა შ. კაციტაძემ, გამკრიალებლებმა ოსტატმა შ. ლომაძემ, სტახანოველებმა — გ. არეშიძემ და თ. ლებანიძემ.

კომბინატის საწარმოთა კოლექტივები წარმატებით იბრძვიან საპირველმაისოდ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად.

ჩარხმშენებელთა ერთსულოვანი მისწრაფება

გედევან ხადურმა ის იყო ოცდამეოთხე შპინდელი გამოქედა, რომ საყვირმა მუშაობის დამთავრება აუწყა ქარხანას. მეედელმა გადარარეული ლითონი რკინის ვეებერთელა მაშით გრდემლიდან გადმოიღო და ახალმოსულ მიხეილ დარბინიანს გასძახა:

— მოდი, ცვლა მიიღე!

კუნთმაგარი ვაკაცი წარსდგა მის წინაშე, წინსაფარი შეიკრა, მაშა გამოართვა, რკინის ახალი ზოდები შეალაგა ღუმელში გასახურებლად. შემდეგ თვალი შეაფლო იქვე ხელმარცხნივ, გრდემლის მახლობლად გროვად დაყრილ ნაგედ ლითონს და განცვიფრებულმა კმაყოფილებით წარმოთქვა:

— რვის ნაცვლად ოცდაოთხი... ყოჩაღ! ვეცდები არ ჩამგრჩე.

განა მარტო აქ — სამეედლო საამქროში! ქარხნის ყველა საწარმოო კორპუსში გაისმის ასეთი მოწონების სიტყვები; სამუშაოდ მოსულები მოპოვებულ საწარმოო გამარჯვებას ულოცავენ მიმავალთ, თან აღუთქვამენ, რომ თვითონაც თავდადებით იმუშავებენ.

ასე მეორდება ყოველი ცვლის შემდეგ.

აქ — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში მოწინავე მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები მუშაობენ ერთსულოვანი მისწრაფებით — წარმატებით შეასრულონ საპირველმაისო სოციალისტური ვალდებულებანი, ამრავლონ თავიანთი ღონისძიებანი საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომი გრანდიოზული ამოცანების განხორციელებაში, ზარდონ თავიანთი წვლილი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საერთო საქმეში.

სამშობლოს სიყვარულმა, ლენინ — სტალინის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებამ გადაალაქცია გედევან ხადური მოწინავე მჭედლად. სულ ექვსიოდე თვეა, რაც მან ქარხანაში დაიწყო მუშაობა. ამ მცირე დროში შეძლო სახელის მოხვეჭა, პატივისცემის დამსახურება.

გედევან ხადურს ხელობა შეასწავლა შემოქმედებით მუშაობის ჩვენებები განუვითარა, ახლის ძიების გზები უჩვენა ნოვატორმა მჭედელმა შალვა მანველიძემ. გედევანს უყვარს შრომა, რომელიც ჩვენში მამაცობის, სახელის, ღირსების საქმეა. შეძლებული. საამური ცხოვრების წყაროა, უყვარს შრომა და ცდილობს თავისი შრომით მეტი ნაყოფი მისცეს, მეტი სარგებლობა მოუტანოს სამშობლოს. ამას წინათ ხადურმა შექმნა და გამოიყენა ახალი სპეციალური სამარჯვი, რომელმაც გაუადვილა შრომა, ხუთჯერ გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

* * *

თავდადებული, მაღალნაყოფიერი შრომა მეტალაზათსა და შინაარსს აძლევს თერმისტ ნიკოლოზ პოგრებნიაკისა და ნიკოლოზ რემეზოვის ცხოვრებას. ქარხნის ეს მოწინავე ადამიანები მძლავრი სპეციალური მილსაჭერელი ჩარხის დეტალების წრთობაზე მუშაობენ. შრომის რაციონალური ორგანიზაციისა და საქმეში დიდი დახელოვნების შედეგად მათ შეძლეს ერთის ნაცვლად ერთდროულად სამი (კამერულ-თერმული ღუმელის მომსახურების გაწევა, დავალების 300-320 პროცენტით შესრულება. 16 აპრილს მუშაობა რომ დაამთავრა, ნიკოლოზ პოგრებნიაკმა ცვლის ოსტატს 300 ცალი ფრიქციული ბადრო. მძლავრი ჩარხის 30 მუშტა და 5 ტვიფრი მიუთვალა.

ცვლის ოსტატს სჯერა, რომ თუ დღეს ნიკოლოზ პოგრებნიაკმა 300 პროცენტს გადაჭარბა, ხვალ უფრო კარგ შედეგს მიაღწევს.

მეორე მექანიკურ საამქროში კბილანებს, ლილვებს, მილსაყებს ჩარხავს ხარატი ზურაბ გელეუკაშვილი. იგი სულ ახალგაზრდაა, შარშან დამთავრა სახელოსნო სასწავლებელი, მაგრამ სწრაფად დახელოვნდა, წარმატებით აითვისა ჭრის ჩქაროსნული მეთოდით მუშაობის კლასი. ზურაბ გელეუკაშვილი თვალისჩინივით უვლის თავის ჩარხს, შეუფერხებლად მუშაობს და დავალებას 250-300 პროცენტით ასრულებს. აქვე ერთმანეთს ეჯიბრებიან ახალგაზრდა ხარატები ა. ჯემელეანი და რ. ბაბაიანი. მათ შარშან დამთავრეს საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა, დიდი მონდომებით შეუდგნენ მუშაობას და ახლა უკვე სტახანოველთა რიგებში არიან, გამომუშავების ნორმებს 130-140 პროცენტით ასრულებენ, საუკეთესო ხარისხის პროდუქციას იძლევიან.

№ 30 საამქრო მწყობრიდან გამოსული, ძველი ჩარხების აღდგენაზე მუშაობს. კარგი სახელი დაიმსახურეს აქ ახალგაზრდა ზეინკლებმა მიხეილ ჩარიგოგდიშვილმა, გიორგი ტუაევმა, მიხეილ გამზიტაშვილმა, ანზორ მამუჩაშვილმა. მიხეილ ჩარიგოგდიშვილის ბრიგადამ იკისრა აპრილის ბოლომდე, საპირველმაისოდ, კაპიტალურად შეაკეთოს, აღადგინოს და სამშობლოს მისცეს 2 სახარატო, 1 რეგოლვერული, 1 მრგვლადსახები და 1 განივსარანდავი ჩარხი. 15 და 16 აპრილს ბრიგადამ დღიური დავალება 130 პროცენტით შეასრულა. ძირითადად დაამთავრა სახარატო და რეგოლვერული ჩარხების აღდგენა. დანარჩენი ჩარხების შეკეთების სამუშაოთა ნახევარზე მეტი უკვე შესრულებულია. ცვლის ოსტატები კოტე კოხრეიძე და გიორგი გოგოლაძე ერთმანეთს ეჯიბრებიან უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებაში და საერთო წარმატებას აღწევენ.

№ 3 ამწყობი საამქრო, სადაც სახარატო ჩარხების დამზადების საწარმოო ციკლი მთავრდება, ერთ-ერთი მოწინავეა. აქ მუშაობენ სახელმოხვეჭილი სტახანოველები ა. ბენდიანიშვილი, ი. ფირცხალავა, რომელთა შრომის მაგალითზე იზრდება მრავალი ახალგაზრდა მუშა. ამ საამქროს კოლექტივიც ზუსტად ასრულებს ხუთდღიურ გრაფიკს, რიტმულად მუშაობს. საამქროში არ არის არც ერთი მუშა, რომელიც გადაჭარბებით არ ასრულებდეს გამომუშავების ნორმებს. ბევრი კი ცვლაში 2-3 ნორმას იძლევა. უკანასკნელ ხანებში სახელი გაითქვა კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც ზეინკალი ა. ჯანჯღალაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადა ცვლის დავალებას 140-145 პროცენტით ანაღდებს. თვითონ ბრიგადირი ა. ჯანჯღალაშვილი სისტემატურად ორნაზვარ-სამ ნორმას იძლევა. სტახანოველი ზეინკლები პ. გოგიჩაშვილი, მ. ხანდოშვილი, ი. ჭინჭარაული, გ. სხირელი საწარმოო დავალებებს 200-250 პროცენტით ასრულებენ.

სპეციალურ მილდასამუშავებელ ჩარხებს მეთერთმეტე ამწყობ საამქროში აწყობენ. აპრილში აქ 8 ასეთი ჩარხი უნდა აეწყონ. გარდა ამისა ამავე თვეში საამქროს კოლექტივი დაამზადებს 2 ქუროგამჩარხავ და 5 დამავეგ მანქანას ელექტრომრეწველობისათვის. ამჟამად საამქროში განსაკუთრებული მონდომებით მუშაობენ, რადგან მათი პროდუქციის გარკვეული ნაწილი მომმე რესპუბლიკებში უნდა გაიგზავნოს. 17 აპრილს უკვე გაიგზავნა 2 ქუროსახრახნი ჩარხი.

რესპუბლიკის მოწინავე საწარმოს — თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები პირნათლად ასრულებენ საპირველმაისო სოციალისტურ ვალდებულებებს, ახალი შრომითი მიღწევებით ხვდებიან მაოფლიოს მშრომელთა დიად დღესასწაულს.

მ. არუთინაძე.

ახალი ქართული შრიფტი

ქართულ სასტამბო შრიფტებს არ გაუვლიათ კვლევისა და ლაბორატორიული შემოწმების გზა, დღემდე არ ყოფილან დაჯგუფებული გარნიტურების სახით და მათი სხვადასხვა ზომაზე (კეგელებზე) გამრავლებაც ნორმალური გზით არ მიმდინარეობდა. ყოველივე ამის შედეგად ქართული საშრიფტო მეურნეობა დიდად ჩამორჩა საშრიფტო მეურნეობის საერთო კანონზომიერ განვითარებას.

ცხადია, რომ ამ სახით მიღებული მუმკვიდრეობა ვერ დააკმაყოფილებდა ჩვენს პოლიგრაფიულ მრეწველობას. საჭირო იყო, რომ ქართული შრიფტები თავისი გრაფიკული ნიშანდობლიობის მხრივ შეესებულიყო სხვადასხვა ზომებით (კეგელებით) და უფრო ადვილად საკითხავი მოხაზულობებით. ამ საქმის მოწესრიგება დაეფალა ქართული შრიფტის კომიტეტს.

ნაბეჭდი პროდუქციის უმნიშვნელოვანეს ელემენტს შრიფტი წარმოადგენს. პოლიგრაფიული შესრულების ხარისხი დიდად არის დამოკიდებული ამ მთავარი ელემენტის მრავალფეროვნებაზე.

ქართულ სტამბებში ყოველი დარგის ლიტერატურისათვის და ჰერიოდული გამოცემებისათვის დღემდე მაოლოდ ერთი სახის სატეტსტო შრიფტი იხმარებოდა (ე. წ. ვენური). რასაკვირველია, ეს არ იყო ნორმალური მდგომარეობა, რაგინდ უნაკლო იყოს ესა თუ ის შრიფტი, დღევანდელ პირობებში შეუძლებელია მარტო ერთი სახის შრიფტით დაკმაყოფილება. საჭირო იყო ამ შრიფტის გვერდით ისეთის შექმნა, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფდა პოლიგრაფიის დღევანდელ მოთხოვნას და, მეორე მხრივ, ერთგვარ გადახალისებას და მრავალფეროვნებას შეიტანდა ჩვენს საშრიფტო მეურნეობაში. ამ მიზნით ქართული შრიფტის კომიტეტმა არსებული ქართული შრიფტების საფუძველზე დაამზადა რამდენიმე ახალი მოხაზულობა. ჯერჯერობით საბოლოოდ დამუშავებული და ხმარებაში შესულია ამ სტრიქონების ავტორის მიერ წარდგენილი ნახაზები.

ახალი შრიფტი გროტესკული ჯგუფისაა და უმთავრესად გამიზნულია პერიოდული გამოცემებისათვის. მისი მოხაზულობა ქართული ტრადიციული ასოს ძირითად ჩონჩხზეა დაყრდნობილი, თვითეული ასოსათვის მონახულია ისეთი თანაზომიერება რომელიც მკაფიობასთან ერთად გადიდების და დაპატარავების ყოველგვარ შესაძლებლობას იძლევა სიგანის მხრივ მთელი ალფაბეტი თორმეტ ზომამდეა დაყვანილი (ნაცვლად 18-ისა). საჭირო შემთხვევაში უმტკივნეულოდ შეიძლება ამ ზომის შვიდამდე დაყვანა.

(მკაფიო გარნიტური)

ზედა და ქვედა ტანიანი ასოების ხარჯზე გადიდებულია ასოთა თვალი. ხაზის სისქედან ნათელი კორპუსისათვის აღებულია 0,24 მილიმეტრი.

ყოველივე ამის შედეგად მიღებულია ისეთი შრიფტი, რომელიც უფრო ადვილად იკითხება, მკაფიოდ მოჩანს და ამავე დროს ნაკლებ ადგილს იქერს ვენურთან შედარებით. ამასთანავე ეს შრიფტი მთლიანად ეგუება სხვა ქართული შრიფტების მოხაზულობას და მისი კომბინირებული გამოყენება ანაწყობის სიჭიდელეს არ იწვევს.

ქართულ საშრიფტო მეურნეობაში პირველად შევიდა ისეთი შრიფტი, რომელიც დამუშავებულია მთლიანი სახით (ციფრებით, ნიშნებით, ჭეული ასოებით) და გამიზნულია სრული გარნიტურისათვის.

მიმდინარეობს

მოკლე შენიშვნები

80 გირვანქა სტერლინგი!

ვიქტორ პიუგო თავის განთქმულ რომანში „კაცი, რომელიც იცინის“ მოგვითხრობს მეკობრე-კომპრაჩიკოსებზე, რომლებიც შუა საუკუნეებში თავზარს სცემდნენ ინგლისის მოსახლეობას. კომპრაჩიკოსები იტაცებდნენ ბავშვებს, ამახინჯებდნენ ფიზიკურად — აჭრიდნენ ცხვირსა და ტუჩებს, აკუზიანებდნენ, ასაჭურისებდნენ და ასეთ მდგომარეობაში ჰყიდდნენ მეფის კარზე, დიდებულთა ციხე-დარბაზებში, სადაც ეს სამუდამოდ დასახიჩრებული ადამიანები სიკვდილამდე ტაკიმასხარების როლს ასრულებდნენ.

ასე იყო ოდესღაც.

მაგრამ, როგორც ჩანს, კონსერვატიული ინგლისი ვერ გასცილებია ძველ სიველურეს. ამ მხეცურ ჩვეულებას უფრო „დახვეწილი“ ფორმა მიეცა და უწყინარი მოსაქმის შრომას ამოფარებული თანამედროვე კომპრაჩიკოსი გულდამშვიდებით განაგრძობს ბნელ საქმეს.

ინგლისში კვლავ იყიდება ბავშვები.

აქ თქვენ ნახავთ „ბავშთა შავ ბაზარს“, სადაც სპეკულაციურ ფასებში შეიძლება ცოცხალი ადამიანის შეძენა.

ჯონ ბულის გემოვნების „განვითარებამ“ თავისებური „პროგრესი“ შეიტანა ამ ბარბაროსულ საქმეშიც. დღევანდელი კომპრაჩიკოსი გაცილებით „სუფთად მუშაობს“. მთელი მისი „ოსტატობა“ ახლა მიმართულია არა ბავშვის ფიზიკური დახეიბრებისაკენ, არამედ მისი სულისა და გონების დამახინჯებისაკენ.

ინგლისში აკრძალულია ბავშვის მოტაცება, მაგრამ თავისუფლად შეიძლება მისი „შვილად აყვანა“, თუ კი ჩვილი შეიცავს იმ „სახმარ ღირებულებას“, რაც მის ახალ პატრონს დაკმაყოფილებს.

ამას წინათ, ინგლისური გაზეთი „რეინოლდს ნიუსი“ წერდა: „ამჟამად ინგლისში ჩვილი ბავშვი შეიძლება იყიდო ბიჭი საშუალოდ 80 გირვანქა სტერლინგად, ხოლო გოგო 150 გირვანქა სტერლინგად“.

80 გირვანქა სტერლინგი!

აი ადამიანის ფასი თანამედროვე ინგლისში!

ამ დანაშაულებრივი სპეკულაციის მსხვერპლს უმრავლეს შემთხვევაში მარტოხელა დედების ბავშვები წარმოადგენენ.

მძიმეა ინგლისელი ქალის ცხოვრება, განსაკუთრებით მარტოხელა დედისა. მისი აუტანელი მორალური და მატერიალური მდგომარეობით სარგებლობს გამვლელი ვიგინდარა და წინადადებას აძლევს ქალს განთავისუფლდეს ბავშვისაგან. უკიდურესი გაჭირვება აიძულებს დედას გაყიდოს თავისი შვილი, რომელიც გადაყიდველის საშუალებით უცხო კაცის საკუთრება ხდება.

გაყიდული ბავშვები ხელში უვარდებიან საეჭვო პირებს, დაწყებული მდიდარი უსაქმურებით, რომლებისთვისაც ბავშვი მხოლოდ გასართობი თოჯინაა, და დამთავრებული სისხლის სამართლის რეციდივისტებით. გარდა ამისა, შესყიდულ პატარებს „იაფ სამუშაო ძალადაც“ იყენებენ.

ამერიკელი საქმოსნების სტილი, იანკებმა აქ ქვეშეხებთან და კვერცხის ფხვნილთან ერთად რომ შემოიტანეს, ავადმყოფური მოდა გახდა ძია სემის უიღბლო პარტნიორისათვის.

ინგლისში „ბავშთა შავი ბაზრის“ არსებობა კარგა ხანია ცნობილია. ჯერ კიდევ გასული წლის თებერვალში გაზეთმა „ემპაირ ნიუსმა“ ამ საკითხს ვრცელი სტატია მიუძღვნა. ცნობები ბავშვებით ვაჭრობის შესახებ სხვა გაზეთებშიც გამოქვეყნდა. მაგრამ საზიზღარი ბიზნესი მაინც განაგრძობს არსებობას და, როგორც ბეჭდვითი ორგანოების ცნობებიდან ჩანს, ფართოდაც ვითარდება.

ინგლისს არა აქვს დაწერილი კონსტიტუცია, სამაგიეროდ აქ არის მრავალი დაწერილი კანონი, რომელიც კრძალავს ბავშვებით ვაჭრობას, მაგრამ ქვეყანაში, სადაც კანონები იმისათვის არსებობს, რომ მათ ყველა ჯურის სტერლინგიანი თუ დოლარიანი გარეწარი არღვევდეს, ეს ბარბაროსული ბიზნესი თითქმის ოფიციალურ ხასიათს ატარებს.

ასეულ ათასობით ღატაკის უმანკო ბავშვს დასცქერის თანამედროვე კომპრაჩიკოსის ველური თვალები, ასეულ ათასობით ღატაკის ჩვილს უდარაჯებს მონის უსიხარულო ხვედრი, რომელიც მათ ძირმომპალმა კაპიტალისტურმა საზოგადოებამ განუმზადა.

მაგრამ ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. ამ ბარბაროსობასაც ისტორიამ დიდი ხანია გამოუტანა თავისი განაჩენი.

ა. კუსრაშვილი.

იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნების შედეგები

შანხაი, 20 აპრილი. (საკდესი). 19 აპრილს იაპონიაში გაიმართა პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნები, რომელიც დაითხოვა იოსიდამ 14 მარტს მას შემდეგ, რაც კაბინეტს უნდობლობის ვოტუმი გამოუტანეს.

არჩევნების შედეგად იოსიდას ლიბერალურმა პარტიამ ქვედა პალატაში დაკარგა აბსოლუტური უმრავლესობა, რაც მას არჩევნებამდე ჰქონდა. მეორე კონსერვატიულმა პარტიამ, ეგრეთწოდებულმა სიგემიცუს „პროგრესულმა“ პარტიამ, რომელიც აშკარად გამდიდრდა არჩევნებში ხელახალი შეიარაღების მოთხოვნით, დაკარგა 12 ადგილი.

კომუნისტურმა პარტიამ და მუშურ-გლეხურმა პარტიამ, რომლებიც ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ, მიიღეს ერთად 6 ადგილი. მემარცხენე სოციალისტურმა პარტიამ მიიღო 16 ადგილით მეტი, ვიდრე პარლამენტის წინანდელ შემადგენლობაში. როგორც ცნობილია, წინასაარჩევნო კამპანიისა და თვით არჩევნების მსვლელობაში კომუნისტური პარტია მხარს უჭერდა მემარცხენე სოციალისტური პარტიის მთელ რიგ კანდიდატებს, რომლებიც ხელახალი შეიარაღების წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

იაპონიიდან მიღებული ცნობებით, არჩევნები მიმდინარეობდა ამომრჩეველთა დიდი პასიურობის ვითარებაში. ისეთ ქალაქებში, როგორიც ტოკიო, ოსაკა და ფუკუოკა, საარჩევნო ურნებთან გამოცხადდნენ გაცილებით უფრო ნაკლები ამომრჩეველი, ვიდრე წარშანდელი არჩევნების დროს. ტოკიოში საარჩევნო უბნების დახურვამდე ცოტა ხნით ადრე ხმა მისცა ხმის უფლების მქონეთა ნახევარზე ნაკლებმა.

24 აპრილს დანიშნულია მრჩეველთა პალატის (პარლამენტის ზედა პალატა) არჩევნები, სადაც ხელახლა აირჩევენ პალატის შემადგენლობის დაახლოებით ნახევარს — 128 კაცს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 20 აპრილი. (საკდესი). 20 აპრილს პოლიტიკურმა კომიტეტმა დილის სხდომაზე განაახლა განხილვა ბირმის მთავრობის საჩივრისა ჩანკაიშელთა ჯარების აგრესიაზე ბირმის წინააღმდეგ.

პირველი გამოვიდა იემენის წარმომადგენელი შამანდი, რომელმაც განაცხადა, რომ ბირმის წარმომადგენელმა უდავოდ დამამტკიცებელი საბუთებით ცხადყო ბირმის მთავრობის საჩივრის სრული საფუძვლიანობა. ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ გომინდანელთა ბანდების მოქმედება წარმოადგენს „აღმაშფოთებელ აგრესიას“, იემენის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ ეს მოქმედება არ იქნა დაგმობილი და არ შეწყდა, იგი შექმნის საშიშ პრეცედენტს, რომელიც შეიძლება გამეორდეს და საფრთხე შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობას. მწუხარება გამოთქვა რა იმის გამო, რომ ეს აგრესია სამი წელიწადია გრძელდება და რომ დღემდე ავტორიტეტიანი ორგანიზაცია არ ჩარეულა, რათა შეეჩერებინა იგი, შამანდიმ განაცხადა, რომ გომინდანელთა ბანდების მოქმედების გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა მიიღოს ღონისძიებანი და თუ მან ვერ ალაგმა აღნიშნული ბანდები, ეს სერიოზულად შეასუსტებს მცირე ქვეყნების რწმენას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შესწევს მათი დაცვის უნარი.

დასასრულ შამანდიმ განაცხადა, რომ იგი ხმას მისცემს ბირმის რეზოლუციის პროექტს, რომელიც იძლევა რეკომენდაციას, რომ შუშშროების საბჭომ დაგმოს გომინდანელთა ბანდების აგრესია და მიიღოს ყველა საჭირო ღონისძიება ამ აგრესიის დაუყოვნებლივ შეწყვეტისათვის.

შემდეგ სიტყვა აიღო საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ზარუბინმა. მან განაცხადა, რომ ბირმის მთავრობის საჩივარი გენერალური ასამბლეის უაღრესად სერიოზული ყურადღების ღირსია. ბირმის ტერიტორიაზე შეიარაღებული ბანდების ყოფნა, რომლებიც აგრესიას სჩადიან როგორც ბირმის მთავრობის წინააღმდეგ, ისე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას აზიაში.

აღნიშნა რა, რომ ტაივანზე მოკალათებული გომინდანელთა ხროვა ამარაგებს ყაჩაღურ ბანდებს და ხელმძღვანელობს მათ, როგორც ეს დოკუმენტალურად დაამტკიცა ბირმის წარმომადგენელმა, ზარუბინმა დასასრულ განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია ხმას მისცემს ბირმის რეზოლუციის პროექტს.

შემდეგ გამოვიდა ახალი ზელანდიის წარმომადგენელი, რომელმაც, აღიარა რა ბირმის ტერიტორიაზე გომინდანელთა შეიარაღებული ბანდების ყოფნის უკანონობა, ამავე დროს წინადადება შეიტანა საკითხი მოწესრიგდეს „შეერთებული შტატების კეთილი სამსახურის“ სამუალებით.

ინდონეზიის წარმომადგენელმა პალარმა განაცხადა, რომ გომინდანელთა ბანდების აგრესია ბირმის წინააღმდეგ არა მარტო წინათ იყო, არამედ დღემდე გრძელდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, თქვა მან, უნდა დაგმოს ეს აგრესია და მიიღოს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც აღადგენენ მშვიდობასა და სტაბილობას.

ტაილანდის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეუძლია შექმნას ორგანო „ბირმის კონფლიქტის“ გადასაჭრელად.

შემდეგ სიტყვა აიღო პოლონეთის წარმომადგენელმა ვინევიჩმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ როგორც პოლიტიკური კომიტეტისათვის წარდგენილი დოკუმენტები მოწმობს, ბირმას სისტემატურად თავს ესხმიან ჩანკაიშელი ბანდიტები, რომელთა მოქმედება დიდ ტანჯვას აყენებს ბირმის მოსახლეობას და საფრთხეს უქმნის მშვიდობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ყოველივე ამის გამო, განაცხადა ვინევიჩმა, პოლონეთის დელეგაცია ხმას მისცემს ბირმის რეზოლუციის პროექტს.

ამის შემდეგ სიტყვა აიღო გომინდანელმა ძიან ტინ-ფუმ, რომელმაც კვლავ უარყო, რომ ჩან კაი-შის კავშირი აქვს გომინდანელთა ჯარებთან, რომლებიც ბირმაში იმყოფებიან.

ნიუ-იორკი, 21 აპრილი. (საკდესი). 20 აპრილს დღის სხდომაზე პოლიტიკური კომიტეტი კვლავ განიხილავდა ბირმის მთავრობის საჩივარს ტაივანზე მოკალათებული გომინდანელთა ხროვის აგრესიის გამო ბირმის ჯარების წინააღმდეგ.

ისრაელის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისრაელი „მტკიცედ დაუჭერს მხარს ბირმის საჩივარს“.

შემდეგ გამოვიდა ინგლისის წარმომადგენელი ჯები. მან აღიარა, რომ ბირმის წინააღმდეგ ხორციელდებოდა აგრესია, მაგრამ ერთგვარი ეჭვი გამოთქვა, შეიძლება თუ არა დამტკიცება, რომ ამ აგრესიისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ჩან კაი-შის „მთავრობას“. ჯების სიტყვით, შეუწყნარებელი მდგომარეობა, რომელიც ბირმის მთავრობისათვის შეიქმნა, უნდა მოწესრიგდეს ან ჩან კაი-შის ჯარების უკან დახევით, ან ისინი უნდა დათანხმდნენ ინტერნირებას.

რამდენადაც სიტყვის მსურველი აღარ აღმოჩნდა, კომიტეტის სხდომა დაიხურა.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 20 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 20 აპრილს გამოაქვეყნა ცნობა:

განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შეიარეთები ყველა ფრონტზე თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების მზვერავი რაზმების წინააღმდეგ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ექვსი თვითმფრინავი.

ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების გაცვლა კორეაში

პეკინი, 20 აპრილი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან გადმოგცემს:

დღეს კორეა-ჩინეთის მხარემ 11 აპრილს ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად სამშობლოში დაბრუნა 50 ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვე ორჯგუფად თვითეული 25 კაცის შემადგენლობით.

რეპატრიირებულთა შორის არიან: 30 ამერიკელი, 12 ინგლისელი, 4 თურქი, 1 კანადელი, 1 ფილიპინელი, 1 სამხრეთაფრიკელი და 1 ბერძენი.

ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ყოველწლიური კონფერენცია

ლონდონი, 20 აპრილი. (საკდესი). გუშინ ლონდონში მუშაობა დაამთავრა ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ყოველწლიურმა კონფერენციამ. სამანდატო კომისიის ცნობით, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს 177 სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, რომლებიც აერთიანებენ 700 ათასზე მეტ კაცს; დელეგატთა და სტუმართა შორის არიან მთელი რიგი ეროვნული პროფკავშირების წარმომადგენლები.

საზოგადოების ხელმძღვანელობის საანგარიშო მოხსენებიდან, რომელიც დელეგატებმა განიხილეს, ჩანს, რომ საზოგადოების წევრთა რიცხვი 1952 წელს გაიზარდა თითქმის 50 პროცენტით. საანგარიშო პერიოდში საზოგადოებამ გამართა 606 მიტინგი და კრება, მოაწყო დაახლოებით 1.300 კინოსეანსი (ორჯერ მეტი, ვიდრე წინა წელს), რომლის დროსაც უჩვენეს საბჭოთა ფილმები. გარდა ამისა, მოეწყო საბჭოთა კინოსურათების გასინჯვა დიდ კინოთეატრებში და გაიმართა საბჭოთა ფილმების ფესტივალი.

დიდი წარმატებით ჩაიარა ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურმა 1952 წლის ნოემბერში, რომლის მსვლელობისა დროსაც მოეწყო მიტინგები და კონცერტები საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის წევრთა მონაწილეობით.

1952 წელს საბჭოთა კავშირი ინახულა ინგლისის სამმა დელეგაციამ. სსრ კავშირიდან დაბრუნების შემდეგ დელეგატები გამოდიოდნენ მიტინგებსა და კრებებზე და გააცნეს მსმენელთ მშვიდობიანი მშენებლობა სსრ კავშირში.

კონფერენციის მონაწილეებმა ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტად მქუხარე ტაშით ერთსულოვნად აირჩიეს კენტერბერის ტაძრის წინამძღვარი პიულეტ ჯონსონი.

საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და ვაჭრობისათვის!

საზოგადოება „ლუძსემბურგ — სსრ კავშირის“ ყრილობაზე

ბრიუსელი, 20 აპრილი. (საკდესი). გაიმართა საზოგადოება „ლუქსემბურგ-სსრ კავშირის“ მორიგი ეროვნული ყრილობა, რომელშიც მონაწილეობდნენ ლუქსემბურგის სხვადასხვა ქალაქისა და სოფლის ამ საზოგადოების სექციათა წარმომადგენლები.

შეკრებილებმა წუთიერი დუმილით და ფეხზე ადგომით პატივი სცეს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნას.

მოკლე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა ლუქსემბურგში ვ. ი. ავილოვმა, რომელსაც ყრილობის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

მოხსენება საზოგადოება „ლუქსემბურგ-სსრ კავშირის“ მუშაობის შესახებ გააკეთა საზოგადოების გენერალურმა მდივანმა უზელდინგერმა. მან ილაპარაკა ლუქსემბურგის მშრომელების, პროგრესული ინტელიგენციის უდიდეს ინტერესზე საბჭოთა კავშირისადმი, საბჭოთა ხალხის შესანიშნავი წარმატებებისადმი მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში.

ყრილობამ მიიღო საზოგადოების წევრებისადმი მოწოდება — ყოველნაირად განამტკიცონ მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა ხალხთან, გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობისათვის, ყველა ქვეყანასთან და უწინარეს ყოვლისა კი საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის განვითარებისათვის.

მშვიდობის პაქტისათვის

პრაღა, 20 აპრილი. (საკდესი). 18-19 აპრილს პრაღაში გამართულ ჩეხოსლოვაკიის წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე მიღებულ იქნა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისადმი მიმართვის ტექსტი.

მილიონობით ადამიანი, ნათქვამია მიმართვაში, გამოთქვამს მტკიცე გადაწყვეტილებას, არ დაუშვას ახალი ომი. მსოფლიოში არ არის ისეთი საკითხები, რომელთა მოლაპარაკების გზით მოგვარებაც არ შეეძლოთ სახელმწიფოებს ჩეხოსლოვაკიის წითელი ჯვრის საზოგადოების ყველა წევრი მთლიანად უერთდება ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მოთხოვნებს ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მუდმივ მშვიდობის პაქტის დადების, გაერთიანებულ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადების, შეიარაღების შემცირებისა და ატომური, ქიმიური და ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვის შესახებ.

აკაკი ხორავა აღბანეთის ნაციონალური გმირის — სკანდერბეგის როლში

ალბანელი ხალხი ხუთი საუკუნეა ინახავს თავისი ლეგენდარული გმირის, თურქეთის მონობის უღლისაგან ალბანელი ხალხის განთავისუფლებისათვის შეუდრეკელი მებრძოლის გიორგი კასტრიოტის — სკანდერბეგად წოდებულის სახელს.

გიორგი კასტრიოტი — სკანდერბეგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მე-15 საუკუნეში. თურქეთის მიერ ალბანეთის დაპყრობის დროს 9 წლის გიორგი მძევლად წაიყვანეს. იგი იზრდებოდა თურქეთის სულთანის მურად მეორის კარზე. გიორგი კასტრიოტმა თავისი შეუდრეკელი ხასიათით და სიმამაცით სიპაბუკიდანვე მიიქცია ყურადღება.

თურქეთში მძევლად მყოფი უკვე სახელმოხვეჭილი ხორდალი არასოდეს არ ივიწყებდა თავის სამშობლოს, ოცნებობდა ალბანელი ხალხის განთავისუფლებაზე.

მალე ფრთები შეესხა სკანდერბეგის ოცნებას. იგი მამაც ალბანელთა მცირე რაზმის თანხლებით სამშობლოში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა ალბანელი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას. 25 წლის განმავლობაში ალბანელი ხალხი თავისი სარდლის მეთაურობით მედგარ წინააღმდეგობას უწევდა თურქების ურდოების შემოსევას, რომლებსაც ხშირად სულთანი მურად მეორე ხელმძღვანელობდა.

სკანდერბეგის სიკვდილის შემდეგაც თურქებმა დიდხანს ვერ შეძლეს ალბანელი ხალხის წინააღმდეგობის გატეხა, ვინაიდან სკანდერბეგის ბრძოლა იყო ბრძოლა მთელი ხალხისა, რომელიც სისხლს ღვრიდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

სკანდერბეგი შეიყვარა და სახალხო გმირად გაიხადა მისმა მშობელმა ალბანელმა ხალხმა.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა თავისი ხალხის საყვარელი ბელადის, არმიის გენერალ ენვერ ხოჯას მეთაურობით შეუნელებლად ზრუნავს ალბანელი ხალხის კეთილდღეობისათვის, მისი უკეთესი მომავლისათვის. ალბანელი ხალხი უკვდავყოფს თავისი სახელოვანი გმირის სახელს. ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმმა „სკანდერბეგის ორდენი“ დააწესა. იგი მკერდს უმშვენებს ალბანელი ხალხის საუკეთესო შვილებს.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია შეექმნა სკანდერბეგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფერადი მხატვრული კინოსურათი. ამ მიზნით მან საბჭოთა კავშირის მთავრობას მიმართა თხოვნით დახმარებოდა ამ პატრიოტული მნიშვნელობის მქონე ფილმის გადაღების საქმეში.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დააკმაყოფილა ალბანელი ხალხის თხოვნა. და აი უკვე რამდენიმე თვეა, რაც საბჭოთა კავშირის და ალბანეთის კინოხელოვნების მუშაკთა მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით მიმდინარეობს მუშაობა ისტორიული კინოსურათის შექმნაზე. სცენარის ავტორია ცნობილი საბჭოთა კინოდრამატურგი, სტალინური პრემიის ლაურეატი მ. პაპავა. დამდგმელი რეჟისორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ს. იუტკევიჩი. ალბანელი ხალხის ნაციონალური გმირის სკანდერბეგის როლზე მუშაობს ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელოვნის სახელმწიფო თეატრის მსახიობი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი აკაკი ხორავა.

საბჭოთა ხელოვნების სხვა ცნობილ მუშაკთა შორის ფილმზე მუშაობენ: კინოსტუდია „მოსფილმის“ რეჟისორი, სტალინური პრემიის ლაურეატი მერი ანჯაფარიძე, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობები, სტალინური პრემიის ლაურეატები: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე და რესპუბლიკის სახალხო არტისტი სერგო ზაქარიაძე.

ამჟამად ფილმზე მუშაობა მიმდინარეობს ალბანეთში. მოსკოვიდან კინომუშაკთა ჯგუფის ალბანეთში გამგზავრების რამდენიმე დღით ადრე ჩვენ დავუკავშირდით ალბანეთის კინოხელოვნების მუშაკს, რეჟისორის ასისტენტს ვიქტორ სტრატოპერდას, რომელმაც წერილით შემდეგი გვაცნობა: „ჩვენი ხალხისათვის აკაკი ხორავა არის არამარტო ფართოდ ცნობილი და პოპულარული მსახიობი, არამედ ერთ-ერთი უსაყვარელესი მსახიობი საბჭოთა კინემატოგრაფიისა. ჩვენ აღფრთოვანებით ვხედავ ა. ხორავა ქართველი ხალხის ეროვნული გმირის გიორგი საკაძის როლში და ჯერ კიდევ მაშინ ალბანეთის კინოთეატრების დარბაზებში მრავალი მაყურებელი ხმამაღლა ოცნებობდა: „აი ვინ ითამაშებდა კარგად სკანდერბეგს“.

და ახლა, როცა ა. ხორავა მუშაობს სკანდერბეგის როლის შექმნაზე, ჩვენ ვიგრძენით არა მარტო უდიდესი კმაყოფილება იმის გამო, რომ ჩვენს ოცნებას ფრთები შეესხა, არამედ დიდი სიხარული და ღრმა რწმენაც, რომ ჩვენი საყვარელი მსახიობი ა. ხორავა, ცნობილი საბჭოთა კინორეჟისორი ს. იუტკევიჩთან (რომელიც ჩვენთვის ცნობილია კინოსურათების „თოფიანი კაცის“, „იაკობ სვერდლოვის“, „პრეკებალსკის“ და სხვათა დადგმით) ერთად შექმნის ალბანეთის ლეგენდარული გმირის გიორგი კასტრიოტის — სკანდერბეგის საუცხოო სახეს“.

ფილმის გამოშვება განზრახულია მომდინარე წელს.

გ. ძნელაძე.

სტუდენტთა ქალაქში

საქართველოს ყოველი კუთხიდან ხალისით მოდიან ახალგაზრდა გოგონები და ვაჟები თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში ცოდნის მისაღებად. საამისოდ მათთვის შექმნილია ყველა პირობა, დაწყებული სტიპენდიით, სასწავლო ინვენტარით და გათავებული სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებით.

თბილისის სტუდენტთა ქალაქი მდებარეობს ვაკეში. აქ ჩამწკრივებულია სტუდენტთა საცხოვრებელი კორპუსები, სადაც 2.500-მდე სტუდენტი ცხოვრობს.

ამ უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სტუდენტთა მომსახურება.

საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე, სტუდენტთა უკეთ მომსახურების მიზნით, მოწყობილია სასადილო, აბანო და კლუბი. კლუბში ხშირად ეწყობა ლექციები, უჩვენებენ კინოსურათებს, რაც ეხმარება სტუდენტებს კულტურული და იდეური დონის ამაღლებაში.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მწვანე ნარგავებს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის. გამწვანების მხრივ კი სტუდენტთა ქალაქში ცოტაა გაკეთებული, საერთო საცხოვრებელთა ტერიტორიის გამწვანებას ნაკლები ყურადღება ექცევა. სტუდენტთა ქალაქის გამწვანებისათვის ყველა პირობა არსებობს.

სადღესასწაულო საგაზაფხულო საკოლმეურნეო ბაზრობა

თბილისში დაიწყო სადღესასწაულო საგაზაფხულო საკოლმეურნეო ბაზრობა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, სამტრედიის, აბაშის, ხობისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა ქალაქის ბაზრებში შემოიტანეს დიდძალი ხორცი, რძის პროდუქტები, კვერცხი. გურჯაანის, თელავის, გარეუბნის რაიონების კოლმეურნეობებმა შემოზიდეს ბევრი ხილი, ღვინო და ბოსტნეული.

სავაჭრო ორგანიზაციებმა საკოლმეურნეო ბაზრებში მოაწყეს სამრეწველო საქონლის ფართო გაჯარობა. ბაზრებში მუშაობს „გლავოსობუნივერმაგის“, „თბილმრეწვაჭრობის“, სპეციალიზებული სავაჭრო ორგანიზაციების „საქტანსაცმლის“ და „საქფეხსაცმლის“, სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის 500-ზე მეტი მაღაზია და ფარდული. კოლმეურნეებისათვის მისაყიდად გამოყოფილია 30 მილიონი მანეთის სხვადასხვა ასორტიმენტის სამრეწველო საქონელი.

სადღესასწაულო საგაზაფხულო საკოლმეურნეო ბაზრობა გაიხსნა აგრეთვე ქუთაისში, ბათუმში, სუხუმში, რუსთავსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. (საქდესი).

მოჭადრაკე ქალთა საქალაქო ჩემპიონატი

ამიერკავკასიის რკინიგზის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლში ერთ კვირაზე მეტია გრძელდება მოჭადრაკე ქალთა ფინალური შეჯიბრება თბილისის 1953 წლის პირველობისათვის.

შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს სხვადასხვა სასპორტო საზოგადოებათა 16 წარმომადგენელი, პირველი, მეორე და მესამე თანრიგოსანი მოჭადრაკეები, ორმლებმაც გაიმარჯვეს ნახევარფინალში.

21 აპრილამდე ჩატარებული იყო 5 ტური. დაწინაურდნენ ლ. ხაჭაპურიძე („ნაუკა“), ლ. გელოვანი („ისკრა“), ლ. ნაჭყებია („ისკრა“) და ლ. წეროძე („ისკრა“).

მოჭადრაკე ქალთა საქალაქო ჩემპიონატი გაგრძელდება 4 მაისამდე.

რესპუბლიკის გეოგრაფიის მასწავლებლებისთვის

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გეოგრაფიული საზოგადოება თავისი არსებობის თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ეწეოდა სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას საქართველოს გეოგრაფიული შესწავლისათვის.

სასწავლო-მეთოდური და გეოგრაფიული ცოდნის გავრცელების განყოფილებები ეხმარებიან რესპუბლიკის სკოლების გეოგრაფიის მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებაში. მათთვის იკითხება ლექცია-მოხსენებები კინოსურათების ჩვენებით, ეწყობა ექსკურსიები.

1951 წელს სამეცნიერო-საკვლევმა განყოფილებამ მდინარე ალაზნის მიდამოებში დაიწყო სელური ღვარების შესწავლა. ამ საკითხს მიმდინარე წლის მარტში მიეძღვნა საზოგადოების სხდომა, რომელზეც მოხსენება თემაზე „ალაზნის აუზის მარჯვენა მხარის ღვარცოფების დახასიათებისათვის“ წაიკითხა ექსპედიციის ხელმძღვანელმა დოცენტმა თ. კიკილაშვილმა.

გეოგრაფიულ საზოგადოებას აქვს ფილიალები ქუთაისში, სუხუმში, ბათუმში, გორში და ჰყავს 700-მდე წევრი.

საზოგადოებამ შარშან გამოსცა წიგნები — ა. ასლანიკაშვილის „რა უნდა ვიცოდეთ რუკის შესახებ“, გ. გურგენიძის „იაკობ გოგებაშვილი — საქართველოს გეოგრაფიის სწავლების უფროსმდებელი“, გ. ზარდალიშვილის „ადამიანი და გეოგრაფიული გარემო“ და სხვ.

ამჟამად წარმოებს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა გეოგრაფიული საზოგადოების შრომების გამოსაცემად.

საზოგადოებას აქვს კარგი ბიბლიოთეკა. იგი მომსახურებას უწევს სხვადასხვა დაწესებულებებს, მეცნიერ მუშაკებს, სტუდენტებს და გეოგრაფიის საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

ლექციები

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 23 აპრილს საღამოს 8 საათზე აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში აწყობს ახალგაზრდა მეცნიერებათა კანდიდატის ბ. კიზირიას ლექციას თემაზე: „სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ამოცანები პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“.

იქვე 24 აპრილს საღამოს 8 საათზე დანიშნულია მწერალ ლ. ასათიანის საჯარო ლექცია ფეიზაზე: „ლესია უკრაინკა“.

ქრონიკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამხ. პავლე თევდორეს-ძე იუდინი დანიშნა გერმანიაში საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის პოლიტიკურ მრჩეველად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამხ. ვლადიმერ სიმონის-ძე სემიონოვი გაათავისუფლა ვერმანიაში საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის პოლიტიკური მრჩეველის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. ა. ი. **კოჭლავაშვილი** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ;

ამხ. გ. თ. **კარანაძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ;

ამხ. ი. ა. **ძღენტი** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსად;

ამხ. გ. ა. **ალავიძე** — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრის პირველ მოადგილედ;

ამხ. ა. ს.